ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. სტანდარტული პირობებს დაემატოს 2.8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

   „2.8. კომპანიას მკაცრად ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად, ბანკის თანამშრომლებთან/ კონტრაქტორებთან დაკავშირება ბანკისგან დამოუკიდებლად, დასაქმების ან რაიმე ტიპის მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით. კომპანია ადასტურებს, რომ არ მოითხოვს, არ წაიყვანს ბანკის თანამშრომლებს, არ დაასაქმებს და არც შესთავაზებს დასაქმებას. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 1 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება გაუხადოს ბანკს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, ბანკის მოთხოვნისთანავე;“

2. წინამდებარე დოკუმენტის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული დამატება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 10 (ათ) კალენდარულ დღეში.